

არქაული ლექსიკური ერთეულები
მერისის ხეობის
მეტყველების მიხედვით
ARCHAIC LEXICAL UNITS
ACCORDING TO COLLOQUIAL SPEECH
OF MERISI GORGE

ცისნამ ბერიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
ბათუმი, საქართველო

Tsisnam beridze

Batumi Shota Rustaveli State University
Niko Berdzenishvili Institute
Batumi, Georgia

ABSTRACT

Adjara was isolated from the Georgian linguistic environment for three centuries and was influenced by the Turkish language during that time, which had a noticeable impact on the speech of the Adjarian population. Fortunately, the Adjarians have cultivated the Georgian language, ensuring the preservation of lexical units used by our ancestors in their speech to this day.

For our research, we have chosen the colloquial speech of Merisi, one of the gorges located in Zemo Adjara (Upper Adjara). The dialect texts have been gathered in the gorge's villages such as Gundauri, Garetke, Inasharidzebi, Namonastrevi, Silibauri, and Sikhaidzebi. The local speech in the documented texts shows its diversity in terms of phonetic and grammatical processes. The lexical component is also interesting for understanding the linguistic landscape of the gorge.

Archaic Georgian grammatical and lexical forms abound in the speech of the Merisi Gorge. Some words are used with the same connotations, while others have undergone changes in semantics. Additionally, certain words have been identified that are not found in other gorges.

The presented article analyzes the archaic lexical units attested in the Merisi gorge in terms of both form and semantics.

საკვანძო სიტყვები: არქაული ქართული ლექსიკა, აჭარული დიალექტი, მერისის ხეობის მეტყველება.

Keywords: Archaic Georgian vocabulary, Adjarian dialect, colloquial speech of the Merisi gorge.

შესავალი

ისტორიული ბედუკულმართობის გამო აჭარა დიდი ხნის განმავლობაში მოწყვეტილი იყო საქართველოს და ქართულ ენობრივ გარემოს, რამაც გარკვეული კვალი დატოვა აქაურთა მეტყველებაში, თუმცა, საბედნიეროდ, თურქული ენის ძლიერი გავლენის მიუხედავად, აჭარულმა დღემდე შემოგვინახა ის ლექსიკური ერთეულები, რომლითაც ჩვენი წინაპრები საუბრობდნენ.

ზემო აჭარის ქართული მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. აქაურთა მეტყველებაში დაცულია არქაული ქართული გრამატიკული თუ ლექსიკური ფორმები, არის თურქული ენის გავლენაც.

აჭარული დიალექტის შესწავლას არაერთი ნაშრომი (მონოგრაფია, სტატია) მიეძღვნა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ აჭარული მეტყველება, განსაკუთრებით ლექსიკა სრულყოფილად მაინც არ არის შესწავლილი.

დიალექტის ლექსიკური ფონდის შესასწავლად მნიშვნელოვანია დიალექტური ტექსტების ჩაწერა ლოკალურად, ხეობებისა თუ სოფლების მიხედვით.

საკვლევად ავიღეთ ისტორიული წარსულით გამორჩეული ზემო აჭარის ერთ-ერთი ხეობის – მერისის ცოცხალი მეტყველება. მასალა ჩავიწერეთ ხეობის სოფლებში: გუნდაურში, გარეტყეში, ინაშარიძეებში, ნამონასტრეში, სილიბაურსა და სიხალიძეებში. ჩაწერილმა ტექსტებმა ცხადყო, რომ აქაური მეტყველება მრავალფეროვანია ფონეტიკური თუ გრამატიკული პროცესებით. ხეობის ლინგვისტური პორტრეტისათვის საინტერესოა ლექსიკური მხარეც.

ზემო აჭარის ცალკეული ხეობებისა თუ სოფლების მიხედვით მეტყველებაზე დაკვირვება საშუალებას გვამძლევს წარმოვაჩინოთ დიალექტის ლექსიკური თავისებურებები; გამოვავლინოთ აქ შემორჩენილი არქაული თუ საკუთრივ დიალექტური სიტყვაფორმები. დასტურდება ისეთი ფორმებიც, რომლებიც სხვა ხეობაში არ გვხვდება.

მეთოდოლოგია

კვლევისას გამოვიყენეთ აღწერითი, შედარებითი და ანალიზის მეთოდები. დავამუშავეთ მერისის ხეობის სოფლებში ჩაწერილი დიალექტური ტექსტები, დავაჯგუფეთ ლექსიკური ერთეულები; საანალიზო ფორმები შევუდარეთ როგორც ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკონებს, ისე დიალექტურ ლექსიკონებს. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ფორმოზომიერი თუ შინაარსობრივი თანხვედრა, ასევე განსხვავებებიც.

მსჯელობა

მერისის ხეობის მეტყველებაში მრავლად გვხვდება არქაული ქართული სიტყვაფორმები. მათი ნაწილი იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, ნაწილი კი მეტ-ნაკლებად განსხვავებული სემანტიკით დასტურდება.

წარმოვადგენთ ხეობაში ჩაწერილ ლექსიკურ ერთეულებს:

აბანო – მერისის ხეობის მეტყველებაში გამოიყენება ორი მნიშვნელობით: როგორც სააბაზანოს, ისე სამკურნალო წყლის მნიშვნელობით: „ჩვენთან ბევრი აბანოებია, გუნდაურის, კაპარტყის...“ (საკანდელიძეების უბანი); შდრ.: ი. აბულაძისა და სულხან-საბას ლექსიკონში განმარტებულია როგორც „სახლი დასაბანელი“ (აბულაძე 1973: 1; ორბელიანი 1949: 18).

ალაგი – ადგილი: „ეს ალაგები გუნდაურს ეკუთვნის“ (გუნდაური). ი. აბულაძის ლექსიკონში განმარტებულია როგორც ბილიკი, გზა, კვალი (აბულაძე 1973: 4), სულხან-საბასთან – დასადგომი ანუ დასადებელი (ორბელიანი 1949: 22).

აპოხტი – ხმელი ხორცი: „აპოხტებ ჩემი ნენი აკეთებდა“ (გუნდაური). ამავე მნიშვნელობით გვხვდება როგორც ძველი ქართული ენის ლექსიკონში (აბულაძე 1973: 7), ისე სულხან-საბასთან (ორბელიანი 1949: 28). ეს ლექსიკური ერთეული შემონახულია „ჩვენებურების ქართულშიც“: „აპოხტი ქათმები დაკიდული ქონდენ ბუხრიან ოდაში“ (ფუტკარაძე 1993: 148).

ასტამი – გვხვდება „ნიჩბის მნიშვნელობით“: „ასტამი იგივე ლაფატკაია, მაგით ნაგავს ვიღებთ“ (გარეტყე, გუნდაური, სილიბაური...). ი. აბულაძესთან – ცეცხლის ასაღებ-დასაღები, აქანდაზ“ (აბულაძე 1973: 11); სულხან-საბასთან – ცომის მოსაფხეკი (ორბელიანი 1949: 33), ხოლო ქიზიყურში – ცომის მოსაფხეკი და პურის მოსახდელი თორნის იარაღი (მენთეშაშვილი 1943: 9); მთიულურში – კეცზე ცეცხლნაცრის დასაყრელი რკინის ხოწი (კაიშაური 1969).

ბაყლი – სიბინძურე, ჭუჭყი: „სამ დღე იბანა იქავრი ბაყლი“ (გარეტყე). საანალიზო სიტყვა ლექსიკონებში განმარტებულია: ლაფი, ჭუჭყი, მწვირი (აბულაძე 1973: 30), მწიკვლი (ორბელიანი 1949: 46), შავშური: ჭუჭყიანი, დაუბანელი (ფაღავა... 2022: 526); ქიზიყური: ჩირქი, ბალდამი (მენთეშაშვილი 1943: 15). „ჩვენებურების ქართული“: „ზაათი ბანიო რომე არ ქონდა სახლსა, ბაყლი ჭამდა ინსანსა“ (ფუტკარაძე 1993: 394). ჩუბინაშვილთან – შალალი, წათხი, თხრიმლი, ჩირქი წყლულისა (ჩუბნაშვილი 1961: 150).

გარგანი – ჯოხი: „მაგას გარგანი უნდა“ (გუნდაური, გარეტყე, სილიბაური...). საბას განმარტებით: „არგანი არს კვერთხის უსხოსი, საბრჯენელათ და დასაყრდენი კაცთა უძღურთათვის (ორბელიანი 1998). ამავე მნიშვნელობითაა შავშურსა (ფაღავა... 2022: 535) და კლარჯულში (ფაღავა... 2016: 1046).

დაგვაჯება – მიბადვა: „აქ მეზობლებმა დაგვაჯება იციან“ (გუნდაური). ამავე მნიშვნელობითაა განმარტებული ნიჟარაძის ლექსიკონშიც (ნიჟარაძე 1971: 155); შავშურში: გვაჯება – ჯიბრი, დაგვაჯება – შეჯიბრი (ფაღავა... 2022: 541).

დრამი – პატარა, ნამცეცა: „ერთი დრამვანი ვიყავით“ (სიხალიძეები). შ. ნიჟარაძე მას განმარტავს: „პაწაწა, ბეწო“ (ნიჟარაძე 1971: 183); სულხან-საბას – ექვსის დანგის წონა (ორბელიანი: 1949: 101). კლარჯულ დიალექტში „ცოტას“ მნიშვნელობით გამოიყენება (ფაღავა... 2016: 1052), „ჩვენებურების ქართულში“ გვხვდება როგორც წონა-ზონის ერთეული ძველ საქართველოში (ფუტკარაძე, 1993: 439).

ელელეცი – ნიშანი: „ბაში-აჩუკივინ ელელეცი ქონდა და ისე მუუგნია“ (გუნდაური). სულხან-საბას განმარტებით, ტყირპია, ელენტა (ორბელიანი 1949: 107). „ჩვენებურების ქართულში“ – თანდაყოლილი კანის სიწითლე (ფუტკარაძე 1993: 434).

კანული – მთვარეზე პირველად, თავიდან რისიმე საქმის კეთება (საკანდელიძეების უბანი). „კანული არ გევლე და ეილეშხა“. სულხან-საბას მიხედვით: ქართ. კანოხი – გაზაფხულ პირველ ხარის შებმას უწოდებენ მესხნი (ორბელიანი 1949: 160). „ჩვენებურების ქართულში“ – გაზაფხულზე

ხარის პირველად შებმა უღელში, ყანაში პირველი კვალის გატანა (ფუტკარაძე 1993: 481).

განსაკუთრებით საინტერესოა ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც მერისის მეტყველებაში სხვა მნიშვნელობით გვხვდება. ასეთი ლექსიკური ერთეულებია:

კუტი, რომელიც გვხვდება „პატარას“ მნიშვნელობით: „ერთი კუტი ლამბაი გვქონდა“ (გუნდაური). შდრ.: სულხან-საბასთან აღნიშნავს „საპყარს“ (ორბელიანი 1949: 176). შავშურში – კუტი ბალი – პანტა ბალი (ფაღავა... 2022: 569), „ჩვენებურების ქართულში“ აღნიშნავს დავრდომილს, საპყარს: „ჩემ მძას კუტი ქალი ყავდა“ (ფუტკარაძე 1993: 491).

მძივი – ღილი: „მძივებ ევსხამდით“ (გარეტყე). ძველი ქართული ენის ლექსიკონში განმარტებულია როგორც საბეჭდავი (აბულაძე 1973: 307); სულხან-საბასთან: „ეს არის მრგვალად ქმნილი ილიკრო, გინა ქვა, გინა ჭიქა გახვრეტილი, მკერდზე ასაცმელი“ (ორბელიანი 1949: 235). მთიულურში კი არის ბავშვის აკვანზე ჩამოკიდებული მძივი, ვითომ მშვიდი ძილის მოსაგვრელად (კაიშაური 1967).

ლირწი – ჯიუტ, გაუგონარ ადამიანს ეტყვიან: „ლირწი ხალხი იყვენ, არ მოგშორდებოდენ“ (გუნდაური). ძველი ქართული ენის ლექსიკონში განმარტება როგორც უწყესო, არაწმინდა, ავხორცი (აბულაძე 1973: 183). სიტყვა გვხვდება „ჩვენებურების ქართულშიც“ უსირცხვილო, მოურიდებელ, გაუგონარის მნიშვნელობით: „მაგფერი ლირწი ბაღვები ღმერთმა ჩემ დუმანსაც ააცილოს“ (ფუტკარაძე 1993: 495).

მოლაშტრა – დასველება: „პოლი მოლაშტრა და გეიქცა“ (გუნდაური), ლემტერი – კოკისპირულ წვიმას, თავსხმას ნიშნავს შ. ნიჟარაძესთან (ნიჟარაძე 1971: 263). იმავე მნიშვნელობითაა სხვა ქართულ დიალექტებში, შემონახულია ტაო-კლარჯულშიც და ნიშნავს: იატაკზე წყალს დაღვრის, დასველებს არემარეს: „საჭმელის გაკეთებაში მოლაშტრავს მუთვადსა“ (ფუტკარაძე 1993: 510).

ნაგერალი – გადარჩეული, უვარგისი: „ეს სიმინდი სულ ნაგერალაია“ (გუნდაური). ქართულ ლექსიკონებში ასეა განმარტებული: ნაგერალი, დაუთესველად ამოსული (ორბელიანი 1949: 242). იმავე მნიშვნელობით გვხვდება ტაო-კლარჯულშიც (ფუტკარაძე 1993: 521).

საბურავი – თავსახურავი: „საბურავის გარეშე ვერ გევიარდით“ (საკანდელიძეების უბანი). სახვეველი, პირბადე, ფარდა, რიდე, თავსახურავი, გადასაფარებელი (აბულაძე 1973: 353). იგივე მნიშვნელობა აქვს ტაო-კლარჯულში (ფუტკარაძე 1993: 553).

ტიტვა – რგვა: „პერიცაც მივატიტე“ (გარეტყე). ქართული ენის ლექსიკონებში ტიტვა „ფრიად დამარილვა“ (ორბელიანი 1998), ტაო-კლარჯულში ორივე მნიშვნელობით გვხვდება: 1. ძალიან ამლაშებს, ამარილებს; 2. ზედმეტად სველ მიწაში რგავს ნერგებს (ფუტკარაძე 1993: 574), ქიზიყურ დიალექტში კი ამ მნიშვნელობის გარდა, აღნიშნავს წყევლას (მენთეშაშვილი 1943: 174).

ტუტუნა – ძალიან ბევრი საუბარი: „იტუტუნა, იტუტუნა და გაჩერდა“ (სიხალიძეები). ამავე მნიშვნელობით დასტურდება ძველი ქართული ენის ლექსიკონშიც (აბულაძე 1973), „ჩვენებურების ქართულში“ – ბურტყუნა (ფუტკარაძე 1993: 576).

ფუნდრუკი – სიხარულით მოძრაობა, ბრუნვა, ცეკვა: „ზოვლი ფუნდრუკი უყვარდა“ (სიხალძიეები). სულხან-საბას განმარტებით – ვაჟთა მიერ სრბოლა (ორბელიანი 1949: 363). ამავე დატვირთვითაა „ჩვენებურების ქართულში“ (ფუტკარაძე 1993: 595), ხოლო მთიულურში ორი მნიშვნელობით გამოიყენება: 1. კუნტრუმი; 2. უშნოდ სიცილი (კაიშაური 1967).

ფათრობა – მკითხაობა: „იტყვიან ფათერმა ვინცხას ყისმეთი დუუკოჭაო“ (საკანდელიძეების უბანი). სულხან-საბას მიხედვით – ბებლი (ორბელიანი 1998), „ჩვენებურების ქართულში“ ორი მნიშვნელობით გვხვდება: 1. ფარფლებიანი ქუდი, 2. მკითხავი, მისანი (ფუტკარაძე 1993: 583).

ქერეჭი – ქერქი, კანი: „ომიანობი დროს ჩვენ წიფლიქერეჭის ჭამა არ მოგვწევია“ (საკანდელიძეების უბანი). სულხან-საბას სიტყვას განმარტავს როგორც ქერეჭანი (ორბელიანი 1949: 370), ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, ფრთა მწერთა (ბუზთა, ფუტკართა, პეპელათა) (ჩუბინაშვილი 1961: 401) „ჩვენებურების ქართულშიც“ ამავე მნიშვნელობითაა (ფუტკარაძე 1993: 600).

დასკვნა

განხილული ქართული ლექსიკური ერთეულები მცირე ნაწილია იმ მრავალფეროვანი ლექსიკისა, რომელიც გამოიყენება ზემო აჭარაში, კერძოდ, მერისის ხეობაში. დაცულია საინტერესო სიტყვაფორმები, რომელთა ნაწილი უცვლელად არის შემონახული, ნაწილი კი ფორმოვარიან სემანტიკური სახესხვაობით იხმარება. ხეობის ცოცხალი მეტყველების ნიმუშების ჩაწერა და შესწავლა მომავალშიც გაგრძელდება და ვფიქრობთ, არაერთი საინტერესო არქაული სიტყვაფორმა გამოვლინდება და შეემატება ქართული დიალექტურ ლექსიკურ ფონდს.

გამოყენებული ლიტერატურა

- აბულაძე 1973:** აბულაძე ი., ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი, 1973.
- კაიშაური 1967:** კაიშაური ლ., მთიულურის დარგობრივი ლექსიკა. თბილისი, 1967.
- კლარჯეთი 2016:** ფალავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ.... კლარჯეთი. ბათუმი, 2016.
- მენტეშაშვილი 1943:** მენტეშაშვილი სტ., ქიზიყური ლექსიკონი. თბილისი, 1943.
- ნიჟარაძე 1971:** ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. ბათუმი, 1971.
- ნოღაიძელი 2013:** ნოღაიძელი ნ., ლექსიკური ძიებანი. ბათუმი, 2013.
- ორბელიანი 1949:** ორბელიანი ს.- ს., სიტყვის კონა, თბილისი, 1949.
- ფალავა... 2022:** ფალავა მ., ცინცაძე მ., ბარამიძე მ., შავშური დიალექტი. ბათუმი, 2022.
- ფუტკარაძე 1993:** ფუტკარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ტ. I. ბათუმი, 1993.
- ჩუბინაშვილი 1961:** ჩუბინაშვილი ნ., ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ. თბილისი, 1961.
- ზემო აჭარაში, მერისის ხეობაში ჩაწერილი ახალი დიალექტური მასალა** (ცისნამი ბერიძის პირადი არქივი).